სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სატელეკომუნიკაციო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია
(CPV: 64200000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი, 2016 წ

სატენდერო დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტია: სატელეკომუნიკაციო მომსახურებები.

2. ტექნიკური დავალება:

2.1 სატელეფონო მომსახურება უნდა განხორციელდეს VOIP ტექნოლოგიით, SIP პროტოკოლის გამოყენებით, ოპტიკური ბოჭკოვანი ქსელით. მომსახურება უნდა მოიცავდეს: უფასო ზარები მომსახურე კომპანიის ქსელში არსებულ ნომრებზე, (შეუზღუდავი) ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი შემსყიდველი ორგანიზაციის არსებულ 3 (სამი) ნომერზე,

2.2 VOIP სერიული ნომრის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი 2 ნომერი 1 არხიანი და 1 ნომერი 10 ერთდროული არხით.

2.3 24 საათიანი მომსახურება და ტექნიკური მხარდაჭერა, შემსყიდველის დავალიანების შესახებ ინფორმაციის დაუყონებლივ მიწოდება.

2.4 უფასო საინფორმაციო მომსახურება.

2.5 კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით ხარისხიანი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა.

2.6 ბილინგის პერიოდულობა ყოველთვიური, ბილინგის ფორმატი Microsoft Excel ან Adobe AcrobaT, მოთხოვნის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება მომსახურების შესახებ, ასევე შემსყიდველის სატელეფონო ნომრებიდან განხორციელებული, მოღებული და გაცემული ინფორმაცია, რომელიც უნდა ინახებოდეს მიმწოდებლის ბაზაში.

2.7 ცხელი ხაზის ნომრებზე უწყვეტი და შეუზღუდავი მომსახურება. ტელეფონის ნომრებზე საინფორმაციო ზარების შეზღუდვა (09.08) სატელეფონო კავშირი ფიქსირებულ სხვა სატელეფონო ოპერატორთან (სავარაუდო 25 000 წუთი)

2.8 **შენიშვნა:**

არაპროვაიდერი კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სატელეფონო ნომრების პორტირება იგივე სატელეფონო ნომრებით, პორტირება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი კვირის შაბათ-კვირა დღეს, რათა პირველ სამუშაო დღეს-ორშაბათიდან უზრუნველყოფილი იქნას სატელეფონო კავშირის მომსახურების უწყვეტობა. პორტირებასთან დაკავშირებულ სამონტაჟო, გაყვანილობის და დაერთების სამუშაოების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

3. სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშების მეთოდი:

3.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. სატენდერო წინადადების ფასი მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, **მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს.**

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები:

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი გორგასლის ქუჩა # 89 სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-ს ადმინისტრაციული შენობა.

5. მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების პირობები:

5.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

5.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა:

6.1. გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

6.2. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით.

6.3. ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას აღნიშნულ ტენდერში.

7. დამატებითი მოთხოვნები:

7.1. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე.

7.2. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი, ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოატრიულად.

7.3. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

8. სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

8.1. რეკვიზიტები დანართი #1-ის შესაბამისად;

8.2. ფასების ცხრილი დანართი #2-ის შესაბამისად;

8.3. პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადება (მოთხოვნილი დოკუმენტაცია) წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.4. აღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმოწერით და სისტემაში ატვირთვით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაცის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაცის წარმოდგენა ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა არ არის სავალდებულო.

9. დამატებითი ინფორმაცია:

9.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით.

საკონტაქტო პირი:

შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით: გიორგი პატარქალაშვილი - 591 44 98 24;
g.patarqalashvili@veterans.gov.ge

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი __ _____ 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), მისი _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA_____ ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სატელეკომუნიკაციო მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), CPV კოდი: 64200000.

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური აღწერილობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ #_-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი გორგასლის ქუჩა # 89 სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-ს ადმინისტრაციული შენობა.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ლევან შანიძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

5.3. შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი არ გაფორმდება.

5.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5. საავანსო ანგარიშწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

6.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;

6.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

6.4.2. შესყიდვის ობიექტის ჩაბარებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი გამოსწორება არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით;

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის __ _____ ჩათვლით.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ „ვეტერანების აქმეთა სახელმწიფო სამსახური“ ქ. თბილისი, ვ. გორგასლის #89 ს/კ 205 309 637 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში	შპს: ს/კ: მის: ტელ: ს.ს. ბანკის კოდი: ანგარიშის #
----------	----------
მირონ ჩიგოგიძე დირექტორის მოადგილე	დირექტორი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული მისამართი / ელ-ფოსტა: _____

ბანკის დასახელება: _____

ბანკის კოდი/ SWIFT: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა/სახელი, გვარი): _____

ხელმოწერა/ბეჭედი:_____

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: _____

#	მომსახურების აღწერა	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
1	2 ნომერი 1 არხიანი სააბონენტო	1 თვე	2	__._____	__._____
2	1 ნომერი 10 ერთდროული არხის სააბონენტო	1 თვე	1	__._____	__._____
3	ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებული, ისე უკაბელო ტელეფონის ნომრიდან) მიმწოდებლის ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან	წთ	ულიმიტო	__._____	__._____
4	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი (როგორც ფიქსირებული, ისე უკაბელო ტელეფონის ნომრიდან) სხვა ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან.	წთ	25 000	__._____	__._____
			ჯამი:	__._____	

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა/სახელი, გვარი): _____

ხელმოწერა/ბეჭედი:_____